SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

აგრარული
უნივერსიტეტი

ბიზნესის სკოლა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაციები

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

საქართველოს განვითარებადი და ღია ტიპის ეკონომიკა ახალ გამოწვევებსა და სიახლეებს სთავაზობს ბიზნეს-ოპერატორებს, მათ მენეჯერებს და დასაქმების ბაზარს.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ისეთი დამწყები, ფართო სპექტრის მენეჯერები და ანალიტიკოსები, რომელთაც ექნებათ ბიზნესის და ბიზნეს-პროექტების მართვისა და შეფასების ინსტრუმენტების საფუძვლიანი ცოდნა და ამავე დროს შეძლებენ ისეთ მზარდ და დინამიურ ინდუსტრიებში დასაქმებას, როგორებიც არის ტურიზმი და მასპინძლობა, და აგრობიზნესი.

დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები იმუშავებენ, როგორც კერძო სექტორში, ასევე შეძლებენ საკუთარი მცირე ბიზნესის წამოწყებას და მართვას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების და და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის თანახმად:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

<u>ზოგადი კომპეტენციები</u>

- კრიტიკული ანალიზისა და მსჯელობის უნარი
- პროფესიული კომუნიკაციის უნარი კომპანიის შიგნით და პარტნიორებთან
- პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი

- უცხო ენაზე (ინგლისური) პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხო და ცვალებად გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- ამოცანების დასმის, იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების დასახვის უნარი
- პრეზენტაციის, არგუმენტაციის და პოლემიკის უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- შეუძლია მსჯელობა და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება თანამედროვე, ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროზე, ძირითად ეკონომიკურ კანონებზე, სამართლის პრინციპებზე, თანამედროვე პოლიტიკურ იდეოლოგიებზე, ინტერკულტურულ ურთიერთობებზე, ფილოსოფიური იდეების ისტორიასა და მათ თანამედროვეობაში გამოყენებაზე, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის ძირითად მიმართულებებსა და მეთოდებზე
- აქვს მათემატიკური, ლოგიკური აზროვნების ზოგადი კულტურა
- შეუძლია მათემატიკური მეთოდების გამოყენება

<u>დარგობრივი კომპეტენციები</u>

- ესმის ბიზნესის ბუნება, იცის ბიზნეს-საქმიანობის სფეროები, შესაძლებლობები, შეზღუდვები და გამოწვევები
- იცნობს ბიზნეს-გარემოს და მასზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებს
- ესმის ბიზნეს-გარიგებების ბუნება და იცის მისი თანმდევი პროცესები
- იცის და შეუძლია ბიზნესის დამხარე ინსტრუმენტების გამოყენება, როგორებიც არის სტატისტიკური მეთოდები, ფინანსური აღრიცხვა, მოლაპარაკებების საბაზო ტექნიკები, გადაწყვეტილების მიღების საბაზო მეთოდები
- აქვს ბიზნესის ძირითადი ინსტრუმენტების ცოდნა, როგორებიც არის ფინანსური ანალიზი, კორპორაციის ფინანსები, მარკეტინგის მენეჯმენტი, პროექტების და ოპერაციების მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვა
- ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას
- აქვს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით მიღწეული შედეგები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, პირველი საფეხურისთვის განსაზღვრულ ექვს კრიტერიუმს.

ცოდნა და გაცნობიერება

- იცის ფინანსური აღრიცხვის ძირითადი პრინციპები, კონცეფციები, ეტაპები და ტერმინები
- იცის გადასახადის სახეები საქართველოს საგადასახადო სისტემის შესაბამისად
- იცნობს თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებს, მათ შორის მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პრინციპებს
- იცნობს ფინანსურ თეორიებს და ფინანსების მართვის პრაქტიკულ მეთოდებს
- იცნობს საფინანსო ბაზრების მუშაობის პრინციპებსა და აცნობიერებს მათ როლს ბაზარზე
- იცნობს ბიზნესის სამართლის ძირითად პრინციპებს
- იცნობს მენეჯერის ძირითად საქმიანობასა და ფუნქციებს, მენეჯმენტის თანამედროვე პარადიგმებს
- იცნობს ინდივიდებისა და ჯგუფების მართვის ძირითად პრინციპებს
- იცის მარკეტინგის თეორია, კონცეფცია და პრინციპები

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია ძირითადი ფინანსური ანგარიშგებების შედგენა
- შეუძლია გადასახადების გამოთვლა
- მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური გარემოს და მონაცემების ანალიზი, კონტექსტუალიზაცია
- შეუძლია ბიზნეს-გარიგებებში მონაწილეობა
- შეუძლია ფინანსური ინფორმაციის გაანალიზება
- შეუძლია ფინანსური აქტივის ღირებულების შეფასება
- შეუძლია ბიზნეს-იდეების პროექტებად გარდაქმნა
- შეუძლია ბიზნეს-გარიგებების ტაქტიკის დაგეგმვაში მონაწილეობა
- შეუძლია იდეები და პროექტების პრეზენტაცია, არგუმენტაციის მომზადება და პოლემიკა
- შეუძლია იურიდიული პრობლემის ამოცნობა
- შეუძლია მარკეტინგის პრინციპების ბიზნეს გადაწყვეტილებებში გამოყენება
- შეუძლია ბიზნეს იდეის დამუშავებასა და ბიზნეს გეგმის მომზადების პროცესში მონაწილეობა
- შეუძლია პროექტის მენეჯმენტის სრული ციკლის განხორციელებაში მონაწილეობა და ცალკეული ელემენტების დაგეგმვა

დასკვნის უნარი

- შეუძლია მიკრო და მაკროეკონომიკური თეორიების ბაზრის ანალიზისა და მენეჯერული გადაწყვეტილებებისათვის გამოყენება
- შეუძლია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება
- ფლობს მართვის პროცესში გამოყენებადი გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს
- აქვს კრიტიკული ანალიზის უნარი

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია მშობლიურ ენაზე პროფესიული კომუნიკაცია
- შეუძლია უცხო ენაზე (ინგლისური) კომუნიკაცია
- აქვს გუნდში მუშაობის უნარი
- აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- შეუძლია კონფლიქტურ სიტუაციების მართვასა და მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობა
- შეუძლია პრობლემურ სიტუაციაზე რეაგირება და კონსტრუქციული გადაწყვეტილების გზების ძიება
- აქვს ინტერპერსონალური ურთიერთობების მართვის უნარი
- შეუძლია ფინანსური, მარკეტინგული, თუ სხვა მენეჯერული ანგარიშის მომზადება და წარდგენა
- შეუძლია დარგის სპეციალისტებთან კომუნიკაცია
- შეუძლია მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობა
- ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას

სწავლის უნარი

- აქვს სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- აქვს უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- აქვს შესაბამისი რესურსებისა და წყაროების მოძიების უნარი

ღირებულებები

- აცნობიერებს, იზიარებს თავისუფალი ბაზრის იდეებს
- იზიარებს საკუთრების უფლების პრიმატის პრინციპს
- იზიარებს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს
- აქვს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი

- აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა
- აცნობიერებს და იზიარებს ბიზნეს- და კორპორატიული ეთიკის პრინციპებს

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ვერბალური მეთოდი
- ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ინტერაქციული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- თანამშრომლობითი სწავლება
- დისკუსია/დებატები
- გონებრივი იერიში
- ქეისების განხილვა (case studies)

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორიცაა: დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება; აქტიურობის შეფასება; შუალედური გამოცდები; საშინაო დავალებები; ქვიზები; პრაქტიკული სამუშაოები; პროექტები; ანგარიშები;

წერითი ნაშრომები; ესეები; ზეპირი გამოკითხვა; პრეზენტაციები; ღია/დახურული ტესტები; დასკვნითი გამოცდები და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების გაზომვის მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულაფ
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

სასწავლო გეგმა

კურიკულუმი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება
- ბიზნესის საბაზო განათლება
- ბიზნესის ძირითადი განათლება
- ბიზნესის პრაქტიკული განათლება
- არჩევითი საგნები

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარითა და ყველა სხვა რესურსით.